



პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 17 დეკემბერი, 2014 წელი

დრო: 12:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ირინა ფუტყარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი საზოგადოებრივი დამცველი
2. ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაცია
3. მამუკა ყუფარაძე - სტუდია რე
4. ვლადიმერ ბოჟაძე - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
5. ლია მუხაშავერა - ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
6. ლევან ნატროშვილი - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
7. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. თამარ კინჭურაშვილი - მედიის განვითარების ფონდი
9. უჩა სეთური - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
10. ლელა ტალიური - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
11. ირმა პავლიაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
12. ნინო ღვედაშვილი - თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
13. თამუნა ლუკავა - ადამიანთა უფლებათა ცენტრი

14. სალომე ჩაგელიშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
15. ელენე ნიჭარაძე - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ცენტრი
16. ლაშა ტულუში - საქართველოს პრესის ასოციაცია
17. სალომე ბულია - ევროპული ინიციატივა- ლიბერალური აკადემია თბილისი

განსახილველი საკითხები:

- ❖ ასოციირების შეთანხმების შესრულების სამთავრობო გეგმის განხილვა
- ❖ საარჩევნო სისტემა და პლატფორმის პირველი ჯგუფის წევრთა პოზიციები
- ❖ სამართლებრივი რეფორმა და პლატფორმის პირველი ჯგუფის წევრთა პოზიციები
- ❖ სხვა საკითხები

შეხვედრა გახსნა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ასოციირების ხელშეკრულების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ და თხოვნით მიმართა ჯგუფის წევრებს, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები თუ შენიშვნები აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით.

ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის სამოქმედო გეგმას მომდევნო ერთი წლის (2015 წ.) განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით. შემჭიდროვებული ვადებიდან გამომდინარე მან სთხოვა დამსწრეებს მათი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე დროულად მოხდეს შენიშვნების გაგზავნა, რადგან უახლოეს მომავალში დაგეგმილია აღნიშნული დოკუმენტის მთავრობის სხდომაზე განხილვა და დამტკიცება.

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ – ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, ექსპერტთა მიერ წინადადების შემუშავება, მათ შორის მონიტორინგის ეტაპზეც. მან შესთავაზა ჯგუფის წევრებს ერთობლივად მიმართონ შესაბამის სამინისტროებს, მიიღონ მათგან კონკრეტული სამოქმედო გეგმა და ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობა, მონიტორინგის და შეფასების კომპონენტის ჩათვლით, ასევე პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა განხილვის ყველა ეტაპზე.

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა წამოაყენა ინიციატივა, რომ პლატფორმის პირველი

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდეს განცხადება, რომელიც შეეხება ეროვნულ სამოქმედო გეგმას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა მიმართა ჯგუფის წევრებს და მიაწოდა ინფორმაცია, რომ მომავალი წლისათვის ორგანიზაცია საარჩევნო სისტემის გარდა აპირებს იმუშავოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებისა და საარჩევნო დავების თემებზე.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელმა, დამსწრეებს გააცნო, რომ მათი ორგანიზაციის, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და „საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო“-ს მიერ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მომზადდა რეკომენდაციები. მათ მიაჩნიათ, რომ უნდა მოხდეს ისეთი საარჩევნო სისტემის მიღება, რომელიც გადაჭრის მოქმედი სისტემით არსებულ პრობლემებს და უკეთ ასახავს საქართველოს მოქალაქეთა მიერ არჩევნებში გამოვლენილ ნებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საარჩევნო სისტემის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი საკითხები: ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვა მანდატებში; ამომრჩეველთა ხმის თანაბარი წონა; ამომრჩეველთა დაკარგული ხმების მინიმალურ ოდენობამდე შემცირება; მცირე პარტიების წარმომადგენლობა; ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა; გეოგრაფიული წარმომადგენლობა; ხმის მიცემის სიმარტივე და არჩევნებისადმი მოსახლეობის ნდობის გაზრდა.

რეკომენდაციების დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციები მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ხელისუფლებას სთავაზობენ განიხილოს ე.წ. რეგიონალურ პროპორციული სისტემა. რეგიონალურ პროპორციული სისტემა წარმოადგენს სიითი პროპორციული სისტემის ერთგვარ სახეობას.

პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებისას პარტიები/ბლოკები წარადგენენ კანდიდატთა სიებს. ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ რეგიონალურ პროპორციული არჩევნები უნდა ჩატარდეს ღია სიებით, რაც ამომრჩეველს შესაძლებლობას აძლევს გავლენა მოახდინოს არამარტო პარტიის არჩევაზე, არამედ პარტიის შიგნით კანდიდატების არჩევაზეც. კერძოდ, ამომრჩეველი პარტიის მიერ წარდგენილი სიიდან შემოხაზავს მისთვის სასურველ ერთ კანდიდატს. ის კანდიდატები, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებენ იქნებიან არჩეული წარმომადგენლობით ორგანოში.

ჯგუფის წევრებმა განიხილეს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, რის შემდეგაც ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია